


ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების კონგრესი 2016



ა/წ 27-31 აგვისტოს ქ. რომში ჩატარდა ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების კონგრესი 2016. ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების კონგრესები წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე დიდ და ავტორიტეტულ ღონისძიებას კარდიო-ვასკულური მედიცინის სფეროში.

კონგრესის მუშაობის 5 დღის განმავლობაში 106 ქვეყნიდან ჩამოსულ 30000-ზე მეტ დელეგატს საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ 500-ზე მეტ სამეცნიერო-პრაქტიკულ სესიებს, რომლებიც მოიცავდნენ 150 სხვადასხვა თემატიკას. დეტალური ინფორმაცია კონგრესის სესიების, მოხსენებებისა და მასალების შესახებ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ვებ-გვერდზე. <http://www.escardio.org/Congresses-&-Events/ESC-Congress>

საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების კონგრესის მუშაობაში.

საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების წევრები კონგრესის საგამოფენო დარბაზში საზოგადოების სტენდის მზადების პროცესში.

